საქართველოს მთავრობის

დადგენილება №128

2018 წლის 15 მარტი

ქ. თბილისი

დუშეთის მუნიციპალიტეტში, გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე, მიწის ნაკვეთების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №71.62.58.546; №71.62.58.547; №71.62.58.548; №71.62.58.549; №71.62.58.550; №71.62.58.556; №71.62.58.405; №71.62.58.406 და №71.62.58.407) განაშენიანების რეგულირების გეგმა თანდართული რუკების სახით.

მუხლი 2

განაშენიანების რეგულირების გეგმა ძალაშია მისი დამტკიცებიდან 5 წლის განმავლობაში.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**